4783/3-74/22 2 30052022

4783/3-74/22
30-05-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის (შემდგომში „სკოლა“) საქმიანობასთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:

1. სახელმწიფო ენის სწავლების რა ტიპის პროგრამებია ხელმისაწვდომი სკოლაში (პროგრამა/პროგრამები, სწავლების ვადები, დაშვების წინაპირობები, გადასახადი და შეღავათები (არსებობის შემთხვევაში))?

2. რომელ მუნიციპალიტეტებში და ბენეფიციართა რომელი ჯგუფებისთვის არის ხელმისაწვდომი სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა? 2022 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტების მიხედვით, რამდენი ბენეფიციარი (ასაკისა და სქესის მითითებით) მონაწილეობს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში/პროგრამებში?

3. 2018-2021 წლებში რამდენმა მოქალაქემ (ასაკისა და სქესის მითითებით) დაამთავრა წარმატებით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა/პროგრამები? (ინფორმაცია წლების მიხედვით და ჯამურად)

4. სკოლის ადმინისტრაციის გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ შეაფასებთ საქართველოში ეთნიკური უმცირესობით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდების (14-დან 29 წლის ჩათვლით) მონაწილეობას სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე